




:ტარსტაროზი:

იუძორისტული აღძანახი გამოდის მაშინ, როცა ეს მოსახერხებელი იქნება გამომცემლისათვის. ხელის-მოწერა არ მიიღება. დასაბეჭდი მასალები გამოიგზავნება ამ ადრესზე: Типография «Пром» для Алмаха.

ქართული ანდაზები კარიკატურებში.

ი გ ა ვ ი.

12 534



კუმ გამოყო ერთხელ კოკი
გაჯიუტდა,
აიხირა:
— რას მიქვია კუთ დარჩენა,
გავალ მეც ნაზირ-ნაზირა!!
მოიკრიფა ღონე ძალი,
აიწია ზურგის ძვალი,
და ოცნება აღგზნებული
გადირია შოლათ საწყალი!!
მოკლე ფეხებს არ უჯერებს,
აედევნა აზავერებს!!
ჩოჩავს... გზად არ იუღრება,
ქირის ოფლში იწურება!
გულსაკლავად კენესის, გმინავს
ერთ ალავას ფოფავს, ქშინავს...
(და ჰკონია,
რომ მიფრინავს!)

ქიანქველამ დაინახა
კუ, საბრალო, და შესძახა:
— ბატონო, თავს რად იწუხებ?
ტყვილად აიტკივებ მუხლებს!!
ვის სმენია, მითხარ შენა
მხოზავი კუს ხართან რბენა?
კუმ ასწია მალლა თავი,
(ასჯერ მტვერში
წანაკრავი,)

და თუმც ემბეზოდა ენა,
ქინქველას ეს მოახსენა:
— უწინარო და გლაბაკო,
რა სთქვი ავი საარაკო?
გესმის ნეტავ, რაზე მსჯელობ,
რავებს ბოდავ, რას სულელობ?
ოი, დავაყარე მეზი,
ვერ ხედავ, რომ ოთხი ფეხი
მეც მაბია, როგორც იგენს,
და მითხარ კუ
რათ ვერ ირბენს?

ქიანქველამ ჩააბველა
და ვასწია წელა-წელი
კუმც შემოიკრიფა ძალი
და დაიწყო კლავა მითხალი?

«კუმ ფეხი გამოყო, მეც ნაზირ-ნაზირა».

*

გულს შემოადგა სევდები,
შემოიბურა ფიქრებით...
ფიქრობს: ამ ტანჯულ ყოფაში
ნეტავ სანამდე ვიქნებით!

განა არ კმარა წვალებმა,
ტანჯვა-ვაება ამდენი,
მდინარეთ გადაქცეულნი
(სხლი და ოფლი ნადენი?!
სჩანს, რომ არ კმარობს საფლავნი
თავდადებული გმირების,
და კვლავ მოითხოვს მსხვერპლებსა
დღე ნეტარების და შვების...

და დაე...დაპყრას ამ უამბაც,
აღსრულდეს გარდაუფელი,
დაე შეისვას ბოლომდე
ტანჯვა-ვაების ფილი!...

*

და დღეს თუმც ნისლმა დაგვფარა,
დარი არ გვიდგას მზიანი,
ქარი დაკვნის მთა-ველში,
ღამეა კეფნიანი,

მარა დღე მოვა ბრწყინვალე,
სხივ-მფენი, იმედიანი,
გადაიფურჩქვნის მთა-ველათ
ზამბახნი, ვარდნი, იანი...

აქ ნაკადული ამოსჩქებს,
ჩაურაკაკებს მინდორ-ველს,
იქ კი ბუღბუღი დასძახებს.
გულს აუძგერებს მის მსმენელს.

მაშინ გაქრება სიავე,
ტვირთსა მოიხსნის ტანჯული,
მაშინ იხარებს ეს გულიც,
დღეს შავს ფიქრებში ჩაფლული!...

გ. გოგოლაძე.

‡ სპირიტონ ნორაკიძე.

შაბათს, 31 იანვარს, ვილციას მუხთალ
ხელით გამოსრულილმა ტყვიამ იმსხვერ-
პლა თფლისის ქართულ საზოგადოება-
ში კარგად ცნობილი პირი—სპირიტონ
ლევანის ძე ნორაკიძე.

თუმცა განათლება არ მიეღო, მაგრამ
განსვენებული სპირიტონი დაუფასებელი
და დაუღალავი პრაქტიკული მოღვაწე
იყო. ის განურჩევლად უწოდებდა დახ-
მარების ხელს ვეფლას. ვისგანაც კი ქვე-
ყნისათვის სასარგებლო საქმეს გამოელო-
და და შეუდრეკელი ენერჯია-ვაეკაცი-
ობის პატრონი საკუთარ ძალ-ღონესაც არ
ზოგავდა, თუ კი ამას საზოგადო საქმის
საქიროება მოითხოვდა.

საერთო გულ-შემამტკივრობასა და სა-
ზოგადო საქმის სიყვარულთან ერთად
სპირიტონს მატერიალური შეძლება
ხელს უწყობდა ნივთიერი დახმარება გა-
ეწია მოსწავლე ახალგაზრდობისა და სა-
ზოგადო დაწესებულებათათვის.

ენერჯიით სავსე ვაეკაცი რასაკვირვე-
ლია ვერ დადებოდა განმათავისუფლე-
ბელი ბრძოლის გარეშე და აი სპირიტონ-
ნიც აღმინისტრაციული წესით გაისტუმ-
რეს საითყნაც მრავალ სხვას ისტუმრე-
ბენ. ამასთანავე ის მისცეს სამართალში
„ზუგდიდის რესპუბლიკის“ საქმეზე.

ნ თებერვალს, ნაშუადღევს 1 სათაზე
განვენებულის გვამი გამოასვენეს მი-
ხაილოვის საავადმყოფოდან ქაშვეთის ეკ-
ლესიაში, საიდანაც საღამოს მატარებე-
ლით გაასვენეს თავის სამშობლო სოფ.
ხორშში (ზუგდიდის მაზრაში).

ეშმაკის კალენდარი

სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ
ჩემი წინასწარმეტყველებანი სავსებით თუ
არა, მეტი ნაწილი შინაც ასრულდა და
ასრულდა ჯოჯოხეთური სისწორ-სინა-
მდელით. მოიგონეთ „მიწის ძვრა“ სა-
ამხანაგო სტამბაში, რომელმაც თითქმის
ოცამდე კაცი იმსხვერპლა; მოიგონეთ
კალენდრის სიტყვები ნიკოკი თაყაიშვი-
ლის შესახებ და გახეთის ცნობები მისი
სახლის დაწვის შესახებ; მოიგონეთ წი-
ნასწარმეტყველება „სახელმწიფო ღუმეში
დედის გინების შესახებ“ და ოქტომბრის-
ტი პოლოცევის „კეთილ სიტყვიერება“.
ყოველივე ამის შემდეგ სრული უფლება
ვაქვთ მეტის ყურადღებით მოეკილოთ
„ეშმაკის კალენდარს“.

თებერვალი.

პირველიდან ხუთმეტამდე (1—15).

დარი აღამიანთა თავებში ცვალებადია:
ხან წვიმა, ხან თოვლი, ხან ბურუსი და
უმეტეს ნაწილათ კი ქარი, ქარი და ქა-
რი; აროდეს მზე იმედისა. მეფობს აგრე-
თვე შიში საყოველთაო: რეაქციას ეში-
ნია რევოლიუციისა, რევოლიუციას—
რეაქციისა, შახს სათარხანისა, სათარხანს
შახისა; ბოლგარიას ოსმალეთისა, ოსმა-
ლეთს ბოლგარიისა; ინგლისს გერმანიისა,
გერმანიას ინგლისისა; ზღვის ხმელეთისა,
ხმელეთს ზღვისა; სინათლეს სიბნელისა,
სიბნელეს სინათლისა; შიში ბუღბუღს
ყოველთა თავთა და თავთა ყოველთა
მოქალაქეთა შინა.

შიში გუბერნატორის,
შიში პროვოკატორის;
(სულ სხვა და სხვა გვარისა,
აზფერის მავარისა),
შიში ბოქალისა,
(უფრო გადაკრულისა),
შიში მისი მწერლისა
(ანგარების ხელისა),
შიში მამულ-პატრონის,
(ვაქუცული ბატონის),

შიში „ნადზირატლისა“,
(ჩვენი ჯიბის მატლისა),
შიში „დვორნიკებისა“,
(მოენეთ ნაქებისა),
შიში „სტრაჟნიკებისა“,
(მათი მათარხებისა),
შიში მოსაზროლისა,
(ვერ გამრჩევის მართლისა),
შიში მოძღვარ-მღვდელისა
(დრამის ფულს რო ელისა)
შიში შანტაჟისტისა,
(პატარის თუ დიდისა!)
შიში ექიმბაშისა,
(რეცეპტების ფასისა),

და ამასთანავე შიში სხეთა მრავალი
ხილულთა და უხილავ მოვლენათა. თუ
დღეა-მიწაც შეინძრევა საერთო შიშის
გან და უმეტეს საგონებელში ჩაგდ
კაცობრიობას. სახელმწიფო ღუმეში
იტანენ კანონ-პროექტს, რომლის ძალ
ყოველი დებუტატი მოვალე იქნება
ვისი „რეჩი“ დედის გინებით დაიწყ
და მამის გინებით გაათაოს. კანო
პროექტი გავა ოქტომბრისტებისა
მემარჯვენეთა ხმის უმეტესობით. გა
ზრახავენ მთვარეზე სამხედრო წესე
შემოღებას, ვინაიდან სახე უცინ
თეთრ კანტებიან ქუდის ტარებისათ
დაიქერენ 167 მოსწავლეს სათავად-ა
ურო გიმნაზიისას. საამხანაგო სტამბ
ხელ-მეორეთ „იძვრის მიწა“. ქართულ
თეატრის არტისტები პროჟექტორს გ
ხსნიან. ისე მებუზლა მუხრანის ხიდი
მტკვარში გადავარდება, მაგრამ გორ
დოკოები ამოიყვანენ მეტეხის მახლო
ლად. რეალური სასწავლებლის შენობ
სათვის შეიძენენ ადგილს მამა დავით
მონასტრს ზემოდან. ქალაქის გამგე
ბას დაესიზმრება: ვითომც წყნეთის ქ
ჩის ბოლოზე გამოწყებული ხიდი უკ
გათავებულა და ხიდის გაღმა მშვენი
ერი ფანარი დგას ღამ-ღამობით მ
დამოს გასანათლებლათ. წერა: კითხვის ს
ზოგადოების გამგეობა ცნობილი „ინ
ტრუქციის“ მეოთხე მუხლის განხილვ
შეუდგება. ქ. ფოთში 70 სახლი დაიწვე
ბა, მიუხედავთ ზღვისა და რიონის სი
ხლოვისა, ქართული მეურნეობის ასად
რძინებლათ განიზრახავენ სასოფლო გა
ხეთის გზმოცემას, კაფერების ენაზე. ქარ
თველი თავდა-ზნაურობა კოწია თუმ
ნოვსა და ბ. ერგენელს „პოსოპიას“ დაუ
ნიშნავს აგრარული საკითხის ეგზომ სა
მათლიდან გარკვევისათვის. ოზურკეთი
ქალაქის თავი შინაც არ დაეხსნება მე
რე აფთიაქის საქმეს. პოეტო შანშიაშვი
ლი შეუდგება ბიბლიის გადალექსიას
საიდუმლო ზერელის საშვალეებით რამო

ენიმე მოქალაქე მეტეხის ციხეში შედ-
ომას მოინდომებს, რასაკვირველია ბე-
ს საცდელათ: იქნებ იქ მეტი თავი-
უფლებათ. მემარჯვენეები დღეშია შეი-
ნენ მეორე კანონ პროექტს ბუნებრი-
სიკვდილის წინააღმდეგ, რომლის პირ-
ლი მუხლი იტყვის: „რუსეთში არავინ
უნდა მოკვდეს ბუნებრივი სიკვდი-
ით“. ქართველი თეატრის რეჟისორი
ი. ყანჩელი ერთხელ მაინც დაესწრო-
არტისტების რეპეტიციას.

ეშმაკი.

„ტარტაროზ“.

რა ხანია, „ტარტაროზო“,
არ მიქნია პირი შენსკენ!
სახუმაროთ გული არ მოქვამს,
მწარე ფიქრნი არ მომესხენ.

გაგიკეთო მოხსენება?!
საგანგებო სიტყვა რა მაქვს?
რაც არის—სულ საშენოა,
იზიარე!—გულით დამაქვს.

გადავთუეთ ძველი წელი,
ან უკეთ,—მან გადავთელა,
ილაჯი სულ გაგვიწყვიტა,
მიგვასუსტა, მიგვანელა,

გაღმოგვყარა ახალს წელში,
ტანჯვის ოფლში განაწურნი,
მომავალზე ექვის მდებნი,
და წარსულის უმადურნი.

მაგრამ ერთი საესავად
დამრჩენია ბედშავს გულში,
რომ მულა ჩვენ არ ვიქნებით
ცალიერზე, წაგებულში!

არ მაშინებს ზამთრის სუსხი,
არც სიმუნჯე მთა და ბარის!
რა გინდ ზღუდონ მომავალი,
იგი მაინც ჩვენი არის!..

ნ. ზომლეთელი.

გურული სცენა.

ერანა და ჯერანა.

ერანა. ჯერანავ რაფაი კალანდაი გეი-
ნე წრეთლს?

ჯერანა. რაუქირდა, გვარიანი ღვთისა
კაცის წყალობა თავსაყრელათ მქონ-
ცხელსავით ღვინო, წუნწუბასავით
ჭკა, საპონსავით ხორცი, დატენილი
ქაპურები, ზუმზუბა ქათამი, ქაფქაფა
იმი, თანკარა ცხელი; მე გამოკვანწუ-
ი, სუსანა გამობრანქული, მივაჯედით
თმანეთს სტოლის გაღმა-გამოღმა, ჩვენ
ევისხით, ჩვენ დავლიეთ. და მოვსძახე
ჩიდელა, ვიხაბალეთ ვიხუნტრუკეთ,
რმეთ ხრუნტ და კოტრაილა!

ერანა. ნეტაი შენ ძმაო, ნამდვილი
ზოის შვილი ხარ და არც დაბერდები
თა ხანში.

ჯერანა. ვებლერ, ვარდა კაი შეგიტ-
ყვია, არა და ისე უნდა თქვენ რომ ცენ-
ტრადის მოლაზონსავით ქვეყნის სატი-
რელს ტირით?! აგი კოციალიტი დემო-
კრატიო, აგი პოლიატარიო და მე რა
ვიცი ასი ბენდელია; არა ბიძავე. ჩვენი
საქმე აგი ერთი კაკალი არაა, რაც მო-
სავალია, მისითაც მოვა, თვარა თავსხ-
ლაფლავსავით ჩამოფხატულმა ნაქუდემა
და მესაკურთხე დიკონსავით თმას ვა-
ჩენამ თუ რამე მიიტანოს აგი ულუფაში
მომპარკეთ.

ერანა. რა ვიცი ბიძავე რავე, მაშენ
თითის აბზეკას ერთი ვერ მოგასწრებდა
და ახლავაი მემქვე შეიქენი.

ჯერანა. ა ჩემი სიკეთე! მაშინ ბიძავე
ყოლიაკი აბზეკადა და მეც ვაბზეკდი,
თვარა ისე ზემოჩიბათის წმინდა გიორგიმ
ჩემი გიტულის კოწივის და მართივის
გამდიდრება მომასწროს რავარც კი ვი-
ცოდი, რომ აგი საქმე არ გვეიღოდა. შენ,
კუტავ, რა იცი ჩემს ხელში გამოქყენ-
ტილი ყაზილარი ხარ და მე ყველაი მა-
ხსოვს, რუსის მოხელამდე რავაი ყაზახე-
ბი ვიყავით. იმის ფეხზედ ჩვენ გავკეთ-
დით ბიძივე და ახლა დიეთხუეო!! ილა-
რონაის ბიქს რაფერ დაუჯერო ისე ძა-
ღღმა მისი არჩივი დომი შექამა? ჰაჰ-
რაგანდა, ქვით, იმისთანაი ცოდნია, მარა
აბა ერთი მიქნას იმან აგი დიდმარხვის
სიგძე მაშინაი რომაა უცხენოთ, რომ
მიქულიობს, ზღვაში რომ პარახოდი მი-
შლიგინობს, უცხებოთ რომ მთელ ქა-
ლაქს ათანკარებს ამას არცერთს არ შე-
უკვეთ და ე ფიჩქა ხომ აფერია ერთ კა-
პეიკათ იყიდი და ა ტყულაი გუუქნიე და
და ხაზირია და აბა აგი გამეიგონოს!
ხო და ამასაც რომ ვერ გამეიგონებ კი-
დო რაღას მიჩივი რუს დიეთხუეო?

ერანა. შეთან პოლიტიკაზე ლაპარაკი
მგონია ტყულაი წყლის ნაყვა იქნება და
შენ იგი მიუხარბი თქვენში მამასახლისათ
ვინ დააყენეთ?

ჯერანა. ნუ მკითხავ, თუ კაცი ხარ,
ჩვენ ალაოც დაყენებას გვეკითხავს ვინმე
და არც გადაყენებას. რა წავგვიკიდა,
ჯვარი არ დამიწერია, მგონია, ამ ჩემ-
სავით ბლინქურა კაძახზე და ცხრაი წე-
ლიწაღია ვეღარ შევიგლიჯეთ, რომ გა-
ყერყერდა ალაპის ჩოგანსავით, ტყუილია
დაგანი ვერ ვაქნიეთ. აგერ, გუშამ
თლათ ამოგვტიკან თვალეები: გეიგონებ-
დი; ვინცხას ჯღაბაის ქალაქში ჩოხა-
პრეწივი დიემართაო, შეიქნა ერთი ბრი-
ალი, ერთი ღრიალი, მოხრიგინდენ დო-
ხტურები, მოჩიჩქინდენ პოლიციელები,
დაატარახინეს შავი ბაირალები და და-
ქალტეს ხოლიარაი, ეჩხუბენ თუთხმეტ

დღეს და პატივი შენთან და დეიქირეს
ერთი ქოთანნი ნამუცლიო. შეკრეს, შე-
პორწიკეს, თავი მუთუიკრეს და მათ
უმფროსთან, ტფილიში იატაპით ფხვკა
მოადენიეს. ვაი, წაფხთი, მვეითათხეთ
კაცი მეთქი, ვიფიქრე, მარა ავიც ვიფი-
ქრე, ალათ ვაფნი პოლოყენიეს ზაყონი
ყოფილა მეთქი.

გაშა ხანი ხანში, იკლო მუცლის
ყურყულმა, მარა მამასახლისისას მაინც
იყურება კაი ოროხელია.

მვეილა დროი, შეიქნა ანგარიში, მარა
შენი პეტრიელისას იმისთანაი, იმ ერთი
ქოთანნი ნამუცლოარის გაძგერა და ვადა-
სიმბილიგბა სამასი ტლიკვი მანათი და-
მჯღარა. ღმერთმა სიკეთე დამართოს და
აგი ნაჩაღნიკმა რომ შეიტყო, თურმე
ძანიალი გამჯავრდა და ბძანა: აგი კა-
ლონი არააო, საქმელი ვინცხამ ჩაქანქა,
ნაქამიც იმან გაასწოროსო, მარა აქანი
მაინც ქეითინი არ მოგვეცეს და მათრა-
ხით გედაგავაშლეკიეს კისერში ყველაყაი
და აგი გვიქნა ჩვენმა სელდეყვიანმა მა-
მასახლისმა.

ერანა. ხო და, ავაშენა ღმერთმა, ილა-
რონაის ბიქცი ამას ჩიოდა: ნუ ჩაფშუ-
კავთ ერთობას, თვარა, ძალსხავით გა-
ყეფებენო, ჯერე სადაა, მარა, რაღაი,
მშვიდობით.


ჯერანა. მშვიდობა მოგვეცეს წმინდა
გიორგიმ, მარა რა ვიცი, საითკენაც
გვეიქეციო, იქითკენა წაიქეციო, ასე
კია ჩვენი საქმე და ვავაყილიო.

შხანკოლა.


ქორწინების გადაღება.

ოთხშაბათს, 4 თებერვალს, ქ. თბილისში და-
ნიშნული იყო დიდებული ქორწინება. დიდი ხნის
ბუტიამობის შემდეგ, როგორც იქნა გათავდა სა-
ქმე და „ნოვოსტი ზაკავაზია“-ს და „ზაკავაზ-
სკოე ობოზრენიე“-ს გვირგვინი უნდა დაედგათ
თავზე, მღვდელს და ეკლესიას ერთ სულ და ერთ
ხორც უნდა შეერთებია ისინი. დანიშნულ დღეს
აუარებელმა მაყრებმა მოიყრეს თავი. საუბედუ-
როთ უბრალო შემთხვევამ საქმე ჩაშალა. სიმე,
სასძლოს მამების ვითუას და ამირჯეღის ლა-
პარაკი მოუვიდათ ერთმანეთში მზითვის შესახებ.
საქმე ისე გამწვავდა, რომ სკამებით მიიწიეს ერთ-
მანეთზე. გულ ვახეთილი მაყრები აქეთ იქით
გაიქცენ და ქორწინებაც ჩაიშალა.

გინათრებს!



საგულისხმიერო განმეორება



გუძღვნი ამხანაგობა „გეორგიას“ წევრთ:

- ი. ზედგინიძეს,
- თ. რ. ამირეჯიბს,
- პ. ქ. აბულაძეს,
- გ. სალარიძეს
- და სხვათა მრავალთა.

„კეთილი გულით მოძღვნილი, მკირედიც შეიწირება“.

ეშმაკი.

ე ქ ი მ თ ა ნ.

იქნებოდა ღამის ათი საათი, როცა ქალოქის, სულიერ ავთმყოფთა ექიმის კარების ზარი დარეკეს. მოსამსახურემ კარები გააღო.

— ექიმი შინა ბრძანდება? შეეკითხა გვირიანათ გამოწყობილი კაცი, რომელიც რაღაც უცნაურათ ილიმებოდა.

— შინ გახლავთ, მაგრამ ეხლა არავის არ ღებულობს.

— სთხოვეთ, როგორმე მიმიღოს, მეტის მეტი გაქირვებული ვარ.

მოსამსახურე წავიდა. უცნობმა პალტო გაიხადა და გაჩერდა.

— მობრძანდით!— ცოტა ხნის შემდეგ მიიწვია ის მოსამსახურემ.

უცნობი შევიდა ექიმთან.

— აბა გვიბრძანეთ რა გტკივათ— თავაზიანათ, მიმართა ექიმა.

— სული მტკივა, ტვინი მტკივა, ვერ მომისვენებია, რაღაც მაწუხებს.

— მაშ თქვენ სულითა ხართ აეთ?

— დიხ!

ექიმა კარგათ აათვლიერ ჩაათვალთ, უნდოდა საგიჟეში გაეგზავნა, მაგრამ დარწმუნდა, რომ მისი თავისუფლათ ყოფნა საზოგადოებას არაფერ ენებას მისცემდა.

— თქვენთვის აუცილებლათ საქიროს გაერთოთ, გირჩევთ ნიკიტის ცირკში იართო და კიდაობას უყუროთ.

— იქ თითქმის ყოველ დღე დავდივარ და ეხლა აღარ მართობს ეს.

— მაშ, რაკი აგრეთ, იართო ქართულ თეატრში და ქართველ არტისტების თამაშს უყურეთ, უმეტესათ როცა დრამებს სდგამენ, იმდენს იცინებთ, რომ ყველაფერი დაგაეიწყებთ.

— იქაც დავდივარ, ვერც ქართველ არტისტების ტრალი-კომიკული თამაშს მართობს.



ქართველ მოღვაწეთა შენახვა.

პატარა ეშმაკი. მაშელო, ეგ რა ცხოველია?

დიდი ეშმაკი. ცხოველი რას ჰქვია, შე გიეო! ცხოველი კი არა, პატიოსანი ვეჭილი კაცია, გიორგი გვაზავთ მონათლული.

პატარა ეშმაკი. მერმე რას უშვები, მაშელო, მურაბას აკეთებ?

დიდი ეშმაკი. რის მურაბა, ბოშო; მურაბა კი არა, სპირტში ვინახავ, რომ ჩამომავლობას არ დაეკარგოს.

პატარა ეშმაკი. სპირტში რათა სდებ, მაშელო, რატომ გაზეთში არ გამოხვევ?

დიდი ეშმაკი. ეგეჰ! დამანებე ერთი თავი მამა გიცხონდება! აბა რა გესმის და რას გაიგებ: გაზეთში გამოხვევია უფრო ადვილია, მაგრამ გაზეთში მაშინვე გაიბრწუნება ხოლმე.

პატარა ეშმაკი. გაიბრწუნებააა?!!

— მაშ, „ახალ პურდენოში“ იარეთ, იქ კი საუცხოვო ამბავს ნახავთ, იქ ქართველი არტისტები ხშირათ მართავენ რეპეტიციებს, საუცხოვო სანახავია როცა იშხნელი „დავლი ბიკო“-ს იხახის და ბუქნავს. მე მგონია იქ არ იქნებოდით.

— საუბედუროთ, ვიჟავი და ვნახე კედც ყველაფერი.

— მაშ, აღარ ვიცი რა მოვიგონო?

ექიმი ჩაფიქრებული იყო. უცბათ მან ზღბლზე თითი მიიღო და სახე გაუბრწყინდა.

— ჰო, მოვიგონე! იცით რა გითხრათ? წადით სახელმწიფო ღუმელში და ნახეთ

პურიშკევიჩი, ისეთ კლოუნს ვერც ერთ ცირკში ვერ ნახავ. ის ისე გაგართობს, რომ უეჭველათ განიკურნები.

ავამყოფს მოწყენილება დაეტყო, ის უცბათ წამოღდა, მივიდა ექიმთან, აქეთ იქით მოიხედა და კურში საიდუმლოთ უჩურჩულა.

— ვიცი, ექიმო, რომ თქვენ საიდუმლოს შენახვა იცით. მე თვითონ პურიშკევიჩი ვარ. მაშ ველარაფერი მიშველის.

გულ ნატყენი ავამყოფი მოშორდა ექიმს.

თავისუფლება

— მითხარი, მეგობარო, რა აზრის ხარ შენ ადამიანის თავისუფლების შესახებ?

— უკაცრავათ, ბოდიშ ვიბდი, მაგრამ... მე ცოლიანი ვახლავართ.

კითხვა-პასუხი

ფელდფებელი—(მიმართავს სალდათს) ვინ უნდა ახსოვდეს სალდათს ყოველგან და ყოველთვის?

სალდათი—(ყვირის) უფალი ფელდფებელი.



ნაილუბი ეშაიოსაღი

ს. ნაიფიშვილისეული.

შენ მზესა ვფიცავ, ეშმაკო, ბევრი ვითმინე, დავფარე... ახლა კი გეტყვი ამ დროში რამდენი ცრემლი დავღვარე.

თუ რამეს დავგეხმარება, დაგელოცება დღენია, თუ არა, — მაინც შენს გზას ია და ვარდი ფენია.

ნაიფიშვილისეულში ცხოვრება ერთობ გაქირდა და სულის მოსაბრუნებლათ შენი მათრახი დაგვირდა.

გვყავს, ძმაო, ერთი სტეფანე, მაგრამ ვაი ამ ყოლასა, სიცოცხლე ამოგვიზხამა, დღე გაგვიმწარა ყველასა.

გზას ისაკუთრებს სასოფლოს, (რადგან მაგრა აქვს გულია), თუმც სოფლის დასაბამიდან მასზე ქვეყნას უვლია.

არ დასდევს სოფლის განაჩენს, რადგან „შემძლე“ ყავს ამილი, მამასახლისი ეტიფო და ჩვენი სოფლის მწერალი.

თუ ჰკადრე სიტყვა საკადრი პრისტავთან ვარბის საჩივლათ (დაგლანდა ჩვენი სოფელი, ძმაო ეშმაკო, საშინლათ!)

სხვაც ყავს ნათესავ-მოყვრები, თორემ ეს რასა იკმარებს? ათანასეს და მოსიკოს ხშირ-ხშირათ წამოიხმარებს.

ახლა შენა გთხოვთ, ძმობილო, გვიშოვე რამე წამალი, რომ მოვიყვანოთ ტკუაზე ჩვენი სტეფანეს ანალო.

მაწანწალა.

სამტრედიის ავან-ჩავანი. ამ დღეებში ჩვენს დაბას ქუთაისიდან ერთი არაა ჩვეულებრივი დასი ეწვია ესტეტური

სიანონგების მისაცემათ. დასის რეჟისორი ბ.ნი „მოუსვენარი“ გაცილებით უფრო მოუსვენარი გამოდგა ვიდრე მოველოდით. გამოაცხადეს აფიშებში, წარმოდგენილ იქნება „ქობში“, მაგრამ წარმოდგენის თეატრში და გამოვიდა „გაცრუებული იმედები“. საქმე იმაშია, რომ ბ.ნი მოუსვენარი სარგებელს თუ არა, ხარჯის დაფარვას მაინც მოელოდა და არა თუ ხარჯი დაფარა, თვით ხარჯმა დაფარა ის. მიუხედავად ესტეტური ჩხუბისა და აყალ-მაყალისა, ეს წარმოდგენა ღირს მნიშვნელოვანი იყო და აი რატომ: როგორც მოგხსენებთ, საზოგადოთ წარმოდგენებს, და კერძოთ ქართულს ნიშნავენ 8 საათზე, ხოლო იწყებენ ცხრაზე, ან უგვიანეს ამისა. ბ.ნი მოუსვენარმა აქაც გამოიჩინა თავისებურება და 8 საათისთვის გამოცხადებული წარმოდგენა 6 საათზე დაიწყო. აი მისაბაძი მაგალითი!

წარმოდგენის მშვენიერებით დამტკბარი საზოგადოება უვილ-კვილით დაიშალა და კერძო საუბარში ვაერთო. ყური მოვკარი ორი „მოქალაქე“ ლაპარაკობდა: „საოცარია დმერთმანი ამ საქონლის საწყობის კანცრის საქმე!

— რა იყო, რა დემართა? — შეეკითხა განცვიფრებული მობაასე.

— როგორ რა, ამდენი ხანია გინების ქვილი დამართია და უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება.

— რას ამბობ, კაცო! ეგ რაღა ჯანაბის ავთმყოფობაა? ექიმები არ მიუყვანეს?

— მაგას რა ექიმი უშველის, ძმაო!

— გომართელი ჩამოიყვანონ, რა დიდი საქმე უნდა?

— გომართელი მაგას ვერაფერს ვერ მოუხერხებს.

— აბა „ეშმაკის მათრახი“ გამოუწეროს.

— კაცო, მართლა!! რაც მართალია, მართალია! თუ რამე უშველა ისევ ის უშველის.

ამ ლაპარაკში მიიმალენ და მტკ მწვა-

ნე ბაზრის კომისიისაკენ გავეშურე. რა-ენახე, ნულარ მკითხავთ. კომისიის ჩამო-ესხნა მელიტოს ხატი და ახლა სტეფანეს ქანდაკებაზე ლოცულობდა. ამ სტეფანეს თურმე პაწაწინა ადგილი ჰქონებია, მის-დგომია ხალხი და სთხოვს: მოგვეცი ადგილი „გაბლორეტარდო“. დალოცვილებს ახლაც ის დრო გონიათ, როცა „პლორეტარობა“ სანატრელი საქმე იყო. სტეფანეს ქანდაკება ჯერ უტყვათა სდგას და ხალხიც იმედის თვალთ შებყურებს.

იმედით ცხოვრობს ქვეყანა და უკან დაბრუნებულს ერთი ახაოგარდა ყმაწვილი შემხვდა ფოსტალიონის სარქველით თავზე. მოვიდა და ვადმომცა თავისი გასაჭირი: რომ ვილაცას ჩვენი უფროსი გაზეითთ გაუჯავრებია და აღარ მიმიღო სამსახურშიო. საქირია ისევ გავამართლოთ თორემ დავილუბე კაკალი კაციო. მეც რასაკვირველია, სადგურის ბაქანზე გავასწავლე.

და გადავსწვიტე რკინის გზის საავთ-მყოფოს უფროს ფერშალთან ვიზიტით მივსულიყავ, მაგრამ დამეზარა და შემდეგისათვის გადავდვი.

პურიშვილი.

ილორიდან. ძმაო ეშმაკო! თუმცა ევტხი ჯანელიძე მოსურნეა თითონ შენ გამოიძია ეს საქმე, მაგრამ რადგან შენ ისედაც ბევრი საქმეები გაქვს, ამიტომ გთხოვთ გამოგვიზნაოთ მოხუცებული განჯელი ეშმაკი „რეჯები“, რომ ადგილობრივ გამოიკვლიოს რამდენათ მართალია ბოროტი ენების მიერ გავრცელებული ჰორი, თითქო ევტხიმ 25 მანეთის მაგიერ 25 თუმანი გადახდევინა ილორის 3 საზოგადოებას მასწავლებლობის დროსაო. ენახოთ რას გამოიკვლოვს ბ.ნი „რეჯები“?

მოციქული.

სოფ. მაღლაკი. ძმაო ეშმაკო! ერთ მშვენიერ დილას ეწვია ჩვენს სოფელს ქალაქ ქუთაისიდან ბ.ნი კონსტანტინე მარჯანოვი. (იქნებ იცნობდე კიდევაც) ხელში კარგა მოზრდილი კონვერტი ექირა. წარუდგინა რა ბართი პოლიციას, მოახსენა: „გულეები ღალას არ მამღევნ, მივმართე მზრის უფროსს და იმან თქვენთან გამოგზავნა. აი მიიღეთ ეს პაკეთი და თუ საღამომღე ან ხვალ დილით ფულ არ წარმოადგენთ ქუთაისში, კახაკე მივმართავ და სოფელს ცუდი დღე დაადგებოა“.

ახლა, თუ არ ეწყინება, მინდა ერთი ვკითხო ბ.ნი კონსტანტინეს: რომელი

ადგილების ღალასა სთხოვს გლეხებს? როდის ჰქონდა მას მალაკაში მამული? ან როდის შეიძინა? და თუ შეიძინა როგორ შეიძინა?

ვინ იცის, ბ-ნო ეშმაკო, იქნებ გვიწყყალობოს კონსტანტინემ ამის ჰასუხი და გაგიფანტოს გონებაში აღძრული ქართული ანდაზა: „კაცი რო გაკოტრდება, ძველ თამასუქებს დაუწყებს ძებნასო.“ აქაური.

ახალი ამბები.

ბიბლიის გალექსვა. უკვე სახელ მოხვეჭილსა და ახალგაზრდა პოეტა ა. შანშიაშვილს განუზრახავს ბიბლიის გალექსვა. ნახევრის, ნახევრის ნახევარი უკვე გაულექსავს და მალე დაიბეჭდება სიტყვა კაზმულ ჟურნალ „ფასკუნჯელაში“.

აგრეთვე „დადიან ხმები“, რომ იგივე მგოსანი შემდგომად ბიბლიისა გალექსავს მათეს სახარებას და პავლეს სამოციქულოს.

ახალი გაზეთი. ქართველ დეკადენტების ერთ მოზრდილ ჯგუფს განუზრახავს გამოსცეს თფილისში გაზეთი „ყვითელი სიმღერა“. გაზეთის რედაქტორობას იკისრებს ბ-ნი გიორგი გვაზავა. გაზეთი გამოვა კვირეში ცხრაჯერ, მაგრამ დღეში—თითო. დაიბეჭდება წერილები შემდეგ ტემებზე: ა) ბაღინჯოს აღსარება (მოგონება კოწია თუმანიშვილის ცხოვრებიდან), ბ) ლურჯი ფიქრები (ყანჩელის დღიური), გ) ჩერჩეტის უმანკობა (რუსულის მიბაძვა ერგნელის ბიოგრაფიიდან), დ) ყალბი სიმართლე (ქართულ არტისტთა ცხოვრებიდან) და სხვა მრავალი.

ახალი წიგნები. სულ მოკლე ხანში გამოვა ახალი დრამა ცნობილი დრამატურგის ნიკოლოზ შაურხიძისა, სახელწოდებით:

„დეკა ღამისა სწორად,
მუ იეოს, განდა ხვადა,
მათხანა ვგავა, ყაღანა,
ჩემკან რა საქმე გწადაა,
დურმაშხან თაყურაშვალა
ან ატათ რა თაგადა?“

მართალია, სახელი დრამისა ერთობ გრძელი და ლაზათიანია, მაგრამ სამაგიეროთ შინაარსია მოკლე და ულაზათო. იბეჭდება აგრეთვე „დადურა ჩემი სწავრებასა“, შედგენილი ბეგლარ დათვიანიძის მიერ. დღიურში მოთხრობილი იქნება ცხოვრება ბეგლარისა ბოქაულათ დანიშნამდე, ბოქაულობის დროსა და ბოქაულობიდან გამოვადების შემ-

დეგ. წიგნი საინტერესო იქნება და უფასოთ გაეგზავნება ყველას, ვისაც ბეგლარისთვის თუნდა 20 მანეთი ქრთამი კი მიუცია.

კომით.

პართულ თეატრის „შამ დაშაზმ“

განცხადება

სუთმბბათი 5 თებერვალი.

რადგანაც დღეს დრო არა მაქვს, რეპერტოია დანიშნულია „ოკრუენოი სუდის“ დიდ დარბაზში, დილის 10¹/₂ საათზე.

უფროსი რეჟისორი ალ. ი. ჟანგილი.

ქართულ თეატრში.

ბევრი მოვინდომე, თავს ძალიან ძალა დავატანე, მარა არ იქნა და არა, გულმა არ მომიამინა და თითქმის ყველა ქართულ წარმოდგენაზე თეატრში ვარ. ვერაფერმა ვერ მიშველა, ცირკშიც კი დავდივარ, პროექტორშიაც, მაგრამ რაღაც უხილავი ძალა მაინც ქართული თეატრისაკენ მეწევა (ალბათ ნაციონალური გრძნობა უმწვერვალეს წერტილამდე განვითარებული მაქვს) ოთხშაბათს, 4 თებერვალს, პირველი მოქმედება უკვე დაწყებული იყო, როცა თეატრში მივედი. არდგენდენ „ებრაელებს“. შევალე კარები და მაშინვე თვალი მოვკარ თეატრის მუღმივე წვერს, ჩემ მეგობარ იაკინთე ჩიტრეკიაშვილს. ის ჩვეულებრივად პირველ რიგში წამოსკუბებულიყო და პირდაღებული სცენას მისჩერებოდა. მე გვერდში მოვუჯექ.

— იაკინთეს გამარჯობა! — ეუჩურჩულე მე.

— ნუ მიწლი!.. არც კი მოუხედნია ჩემკენ ისე შემომძახა მან და გვერდში მუჯლოგუნე მკრა.

— რა ამბავია? რა დავემართა?

— ნუ მიწლი! შეხედე სცენაზე იი იმ ყმაწვილს, მითხრა მან მომიბრუნდა და ერთ მოახალგაზრო ყმაწვილისკენ მიმოითოთა სცენაზე.

— ვინ არის?

— გუნია.

გამეცინა, მაგრამ დავაკვირდი და დავუგდე ყური. სწორეთ, რომ საუცხოვო სანახავი იყო, ისე ადღეუებული, ისე აღშფოთებული იყო, რომ სიმღელვარის გამო სიტყვებს ისე ყლაპავდა, როგორც ქვიტირელ ნესვის ნაქვს.

— საუცხოვოთ თამაშობს— მომიბრუნდა იაკინთე.

— დიხაც! აბა უყურე როგორ გაანიავა ს.-დემოკრატები, შენ ერთი მის გულში ჩავახედა რა სიამოვნებას გრძნობს, სცენაზე ერთხელ მაინც ელირსა წამოენთხია თავისი ბოღმა-ნადევილი. ისე გატაცებულია, რომ ასე გონია მის წინ ქართველი ს.-დემოკრატები იყვენ.

— ძალიან თავს იმაგრებს, რომ არ ილანძღება.

— დიხაც რომ თავს იმაგრებს.

— საწყალი, ამეღამ ტკბილად დაეძინება!

— დიხაც რომ დაეძინება!

— ქ. მდივანი, შალიკაშვილი, გვარაძე და იმედაშვილი კარგები არიან.

— დიხაც, რომ კარგები არიან.

— დანარჩენები ღმერთმა შეინახოს.

— დიხაც, რომ შეინახოს!

იაკინთეს მეგობარი.

ახლად გახსნილი • • • სასტუმრო • • • ბორჯომი

სასტუმრო მშენებრად მორთული ახალი რემონტით. ფასი ყველასათვის ხელსაყრელი, ათი შაურიდან სამ მანეთ ნახევრამდე. სასტუმრო მოთავსებულია ვაგზლის ქუჩაზედ № 17 ვაგზლის ახლო.

პატივისცემით:

მ. ქოთავა,

ე. პეტრენავა.

Первоклассный

А Н О Н Н А

ресторанъ

здание Артистического общества.


Ежедневно днемъ отъ 1¹/₂ ч. до 5 попол. и веч. отъ 10 ч. до 2 ч. ночи играетъ

Румынскій струнный оркестръ

подъ управленіемъ Синика Мафта и при участіи по вечерамъ иъмцы-румынны, поющей на русскомъ, иъмецкомъ, итальянскомъ, турецкомъ, греческомъ и румынскомъ языкахъ.

„ЕЖЕДНЕВНО БЛИНЫ“

Съ почтениемъ Я. Бондаренко.



ორი ემბაკი.

პირველი. ჰო, იმას მოგახსენებდი...
მეორე. არ იტყვი ყმაწვილო რას მოახსენებდი?

პირველი. რა გაჩქარებს, ძმობილო! ვიტყვი მაშ სათქმელად რომ არ მდომოდა არც დავიწყებდი. საქირით ვცანი გითხრა და გიამბობ კიდევაც. მე უბრალო ლაპარაკი არ მიყვარს ძმო...
მეორე. კაცო დააყენე საშველი და თქვი რა ამბავი იცი. იქნებ საიდუმლოა და იმიტომ არ გინდა სთქვა.

პირველი. კარგი ერთი შენ გავრდას. რის საიდუმლო, საიდუმლო რომ ყოფილიყო წავიდოდი და „ივერიის“ რედაქტორს გავანდობდი? რას ამბობ, ეს აშკარა საქმეა და მეც იმიტომ მინდა აშკარათ ვილაპარაკო.

მეორე. აი ყურს გიგდებ, დაიწყე!
პირველი. დაწყება რომ არ მდომოდა არც შენთან მოვიდოდი და გეტყოდი ასეთი საინტერესო ამბავი ვიცი მეთქი. ყველაფერს ანგარიში უნდა ძმო: ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაწავდებიან*.

მეორე. მოთმინების ფილა აივსო! რაღაც ამბავია გაათავებ თუ არა?
პირველი. შენი საქმე არ მიკვირს? კაცო იმიტომ დავიწყე, რომ გავათავო, მა რა ჯანდაბა მალაპარაკებს. ამბავი ყოველთვის დალაგებულია და სულდათქმულია უნდა ილაპარაკო „აჩქარებითა ფულგები არავის შეუქამია“. მოთმინება ყოველგვარ საქმეში ძვირფასი განძია და „შლე-გაძეს რომ მეტი მოთმინება ჰქონოდა,

არც გამოიწვევდა მწერალ ლეგაძეს საქილაოთ. „მოთმინებითა შენითა მოიპოვე სული შენიო“.

მეორე. ამოხდა ძმო სული ამდენ ლოდინში. მე მეტი აღარ შემიძლია. (წასვლას აპირებს).

პირველი. რა გაჯავრებს მამაცხონებულო, თუ სულს არ მოძოთქმეინებ როგორ გიამბო, მისწრება ხომ არ არის? დაიცადე გულიც ყური მოიკრიბე სმენად გადაიქეცი და მეც გიამბობ. შე კაი კაცო მაშ ჩემთვის ხომ არ შევიწინახე გულში, ან რომ შევიწინახო რა ეშმაკთ მინდა? მოითმინე ნუ გაეხარდები „кто спешит, людей смешит“. პატარა ამბავი ხომ არ არის, რომ ერთი ენის მოსმით გადმოვილაგო. ერთ ღღეს გამოცხვა, ერთ კვირას გამოწყევა და შენ გინდა ერთ წამში გაიგო. ეს ცნობის მოყვარებაა! მე რომ უბრალოთ ლაპარაკი მიყვარდეს ერთ ცნობელ ვეკილსავით, ან მე რომ სიტყვის გაგრძელება ვიცოდე ერთ ცნობელ ვეკილსავით მაშინ სულ სხვა იქნებოდა. ახლა კი...
მეორე. მე რომ უსაქმო ვიყო იმ ქალბატონსავით, მეც მოგიცილდი, მაგრამ ესლა მშვიდობით. (გადის).

პირველი. Вот тебе на! რა მოუთმენელი რამეა. სული პირში აქვს მომდგარი: მაშ ვიღას ვუამბო ახლა იმ „ღუე-ლის“ ამბავი? ეჰ, ახალგაზრდებო, ახალგაზრდებო! მეტი მოთმინება უწინარეს ყოველისა.

უცხო სიტყვების ახსნა

გურიისათვის

ოჯუზამთი ისეთი ადგილი, რომელსაც თავიც დალატობს და ბოლოც. ხულიგანების გალოა.

ჩოხაბაშჩი. სტრანჟი შელიას საჯინიბო.
ხილისთავი. საუკეთესო ადგილი აღმინისტრაციული თვითნებობის ჩასადენათ.

საჯამასო. ჩხუბისა და აყალ-მაცალის ადგილი. მოვრალი სტრანჟიკების საფარჯიშო ბაზარი.
კახეთისათვის

ხაზში. მთავრობის მამასახლისების მოწამლული ადგილი.

იორი. გარეთ კახელი გლეხების ტრემლები.
თელავის. მწვანე უდაბნო.

გულშარბი თელავის: მღვდლების საარაზიყო მოედანი.
ხილანდი. საფურე, სადაც ტალახს მხოლოდ ხელენ,

ლესხუმისათვის

ლიხხუმი. ტარასი, იოსონის, ნიკოკასი, ანტონისა და ვახო ხუტყის სათარეშო მოედანი, თუმცა მთიან გორიანი.

ნიკოს მალაზია. ლაილაშელთა უნივერსიტეტი; ცილის-მწამებელთა ბიურო.

ჯაშუში. საპატო მოღვაწეობა ლესხუმელთათვის.

დანოსი. ლესხუმის პროკლამაცია და ხაზო-გალოთ ადგილობრივი პრესა.

ლესანი. ყვე-ყორანთა ნაძიგნი ცხოველი.
სამკითხველი. საოცნებო დაწესებულება.
გაზეთი. სანთლით საქებარი ნივთი.
გლესი. ლესხუმელ წარჩინებულ საწველი ფური.

სტარში. გლეზა სახელი მაშინა.
სამგერელოსათვის

სენაქი. ცოდვილ მონახონთა სადგომი.
სტარანიკი. უმთავრესი მტერი შინაურ ფრინველთა და ოთხფეხთა.

ქურდობა. აღმინისტრაციის მიერ მოწონებული საქმიანობა.
ჯარიმა. ჯანის გასადგები ნაცალი საშვალეობა.
ვალი. სანატრელი ულუფა.

ფ ო ს ტ ა

ხონი. ვ—ძეს. თქვენი ლექსი უმჯობესია ცალკე წიგნით დაბეჭდოს, რადგან ათი ნომერი აღმანახისა მას ზოუნდება და ეს მოუხერხებელია.

პერიოდი. გრიცკოს. თქვენი სტენაც ერთობ გრძელია. ვახეთის ფორმატი ნებას არ გვაძლევს ამდენი სტენები ვეცლოთ.

ჩოხაბაშჩი. კ—ძეს. მარტო თქვენი ბოქაული ნუ გვონით ასეთი, თუმცა იმათაც არის უმცირეს ავი და უმეტეს ავი. პატარა მოვიცალოთ.

ძუთანი. კოიანგს. თქვენ სტენაში გამოყვანილი გმირებით არ გვინდა ჩვენი ვახეთის ფურცლების გატუქვანება. თუ კიდევ დასწეროთ „შინაური საქმეების“ რედაქციას შესწირეთ.

ფოთი. კ—ფოთითქვს. თქვენი ლექსი ა. ჯის უღრთო სიკვდილის გამო არ დაბეჭდება.

ოჯუზამთი. ჩქარს. თქვენ მართლა რომ აჩქარებული ხართ ახალი „თავის ქებაში“. საზოგადოთ ოზურავთის ქალაქის თავებზე იმდენად გულ-გატეხილი ვართ, რომ ნისიათ ქება არ შეგვიძლია. ვნახოთ მომავალი რას მოგვიტანს ხომ გსმენიათ: „სიტყვა სხვა საქმე სხვა“...

ფოთი. ფოთიანკს. არც თქვენი მესტერული დაბეჭდება. უმჯობესი იქნება წერილი ამბები მოგავაწოდოთ რომაზთა და ლექსათ შეხვედრული.

ხაზში. იღვანს. თქვენი ლექსები რედაქციამ ვერ სცნო დაბეჭდვის ღირსად:
„თუ რომ გინდა ცხოვრებას ჩარხის ტრაილს უგებდე გთხოვ ამ ლექსსა ბოლომდე დაეკოივებით უსმენდე“-ო.

ამბობთ თქვენ. ჩვენ ღიდის დაკვირვებით მოვისმინეთ, მაგრამ მაინც ვერაფერი გავიგეთ.

გორი. კვიელს. ცა მოიღრუბლა შავათა ნისლი ჩამიწვა ბნელეში
შენი გირიმე, შენია,
ბიკო გეკურთხოს ხელია.“

ბატონო ჩემო! საქირით მიგვანია მოვახსენოთ, რომ ზოგჯერ ლექსითვისაც არის საქირთ თუნდაც მცირე შინაარსი. „შემდეგისათვის იქონიეთ მაინც სასწეში.“